თქვენ სამართლიანად მეტყვით, ამ ხალხმა საფუძვლიანად იცოდა საკუთარი ვინაობა და ამიტომ შესძლო ქართული შინაარსის გამშობლიურება. გეთანხმებით, მაგრამ ახლა ერთი ყოფილი მოწესე ქურდის (და არა ე.წ. კანონიერი ქურდის, როგორც ამას წამდაუწუმ იმეორებს ქვეყნის უწიგნური ოფიციოზიძ, დიახ, ყოფილი მოწესე ქურდის დიმიტრი შიშმანიდის („შიშმანის“ ძ წერილი უნდა გაგაცნოთ: „მოგესალმები ჩემო სისხლო და ხორცო, ჩემო პატრიოტო, მინდა აგიხსნა, თუ ჩემი სიგერის დროს, სამი შვილის მამა როგორ აღმოვჩნდი გზაში. თვითონაც არ მინდოდა საქართველო გამეცვალა საბერძნეთზე. ხალხი საქართველოში ჩვენი ხალხია და შეუცვლელი. 1989 წელს მე ჩემი შვილები საბერძნეთში გავაგზავნე, ვიცოდი, რომ მათ სჭირდებათ ისტორიული სამშობლო“ (სტილი დაცულია ძ. არ გადაგლლით ამ ოცგვერდიანი წერილის გადმოცემით, გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ბატონი დიმიტრისთვის საქართველო და კერძოდ აფხაზეთი არის ის ადგილი, სადაც მან ქართველთა შორის უგედნიერესი ცხოვრებით იცხოვრა და ა.შ. სხვათა შორის, მისი თავგადასავალი ძალზე საინტერესოცაა. იგი ასახავს პონტოელ ბერძენთა ყოფას მე-20 საუკუნის 90-იან წლებში როგორც აფხაზეთში, ასევე საბერძნეთში. აღსანიშნავია ერთი რამ: საბერძნეთიდან მოგზრუნებული დიმიტრი სოხუმში კი არ ჩავიდა, არ აკადრა ქართველებს მათი სისხლით მორწყულ მიწაზე მათ გარეშე თუნდაც თავდახრა, უქართველებოდ სოხუმი არ არისო სოხუმი და თავის მეგობრებსა თუ მეზობლებს დევნილობაში ჩამოაკითხა, მათი ცხოვრებით ცხოვრობს ახლა. ცოტნე დადიანის საქციელი არის ჩემთვის ეს! (ისე, ის, რაც არ შეშლია ყოფილ მოწესე ქურდ დიმიტრი შიშმანიდის, შეეშალათ კი არა, გვარიანად აერიათ „რაფინირებულ ინტელიგენტებს“, რომლებიც ხუთეულად დაჯგუფდნენ ცილისმწამებლური მიმართვის გარშემოძ.

ამ დღეებში ერთი სასიამოვნო საჩუქარი მივიღე. ტკბილ-მწარე ცრემლების გარეშე ვერ წაიკითხავ კოკა კონსტანტინიდის წიგნს სოხუმზე, რომელიც 2007 წელს გამოიცა საბერძნეთში... რომელი ერთი გავიხსენო, კაცურკაცობის მერამდენე ფურცელი გადავშალო... სრულიად საქართველო მიიჩნევს თავის სულიერ მეზობად მამა საბას, წარმოუშობით სოხუმის მიმდებარე ხეობების მკვიდრს, ბერძენს, ცნობილ სასულიერო მოღვაწეს, საქართველოს ძლიერებისა და ქართველი ერის სიმტკიცისათვის წამგაუცდენელ მლოცველს.

ნოდარ დუმბაძეს აქვს ნოველა „ჰელადოს“, რომელიც სოხუმელ ბერძენთა ცხოვრებას ეხება (მოქმედება ხდება ბესლეთის ხეობაში, ბესლეთის ისტორიული ხიდის მიმდებარედ, რომელსაც, სამწუხაროდ და ყოველად უმართებულოდ, ავტორი, შავრაზმელ ფალსიფიკატორთა მსგავსად, ვენეციის ხიდს ეძახისძ. სოხუმელ იანგულის არ უნდა საბერძნეთში დაბრუნება, იგი გადმოხტება ბერძნების წასაყვანად ჩამოსული გემიდან და ზღვაში იღუპება. ერთი შეხედვით, იანგულის სურვილს – არ წავიდეს საბერძნეთში, ვერ გაამართლებ!

აქ, თითქოს, საკამათოც არაფერია. მხოლოდ სამშობლო უზრუნველყოფს ადამიანში პიროვნულ ღირსებას. დედამიწის რომელ კუთხეშიც არ უნდა დაიბადოს იგი, სულიერად სამშობლოშენარჩუნებულ ხალხს შეუძლია, – ეძმოს მეზობელს, იძმოს სტუმარი.

იანგულის საბერძნეთში იმიტომ არ უნდა წასვლა, რომ არ ეთმობა დედის საფლავი, ქართველი ძმაკაცები და შეყვარებული. ამ მიზეზთაგან ყოველს წრფელი და ადამიანური თანაგრძნობა ეკუთვნის, მათ გამო სხვის სამშობლოში დარჩენა ეგება არც გაემტყუნება კაცს, ყოველ შემთხვევაში, მას შეიძლება გაუგო, მაგრამ იანგულის გადმოხტომა გემიდან, ე.ი. „დაბრუნება“, ამ მიზეზით არ აიხსნება. თუმცა, ბუნებრივია, ესეც არ იყოს, ის, თუ მას კაცობა გააჩნია, სიმღერა-სიმღერით ვერ გაიქცეოდა.

ასეთია ცხოვრებისეული სიბრძნე, რომელიც, როგორც ჩანს, საგაკვეთილოდ არ იქცა ე. წ. მიმართვის ავტორებისთვის. უკვე გითხარით, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში – აფხაზეთში მათი წინაპრებიც ამ საქმით იყვნენ დაკავებული. ისიც აგიხსენით, რომ 1949 წელს სწორედ მათმა ბეზღლოუებმა, სხვა მიზეზებთან ერთად, ბევრად განაპირობეს ბერძენი მოსახლეობის გადასახლება შუა აზიაში. გარდა იმისა, რომ ისინი აბეზღლებდნენ საბჭოთა უშიშროების წინაშე ბერძნებს, თავის მხრივ, გამოიყენეს რა მარჯვედ ყოფითი სიძნელეები, ეს ორფეხები ბერძენთა ცალკეულ წარმომადგენლებს აქეზებდნენ ორპირული საქმიანობისაკენ, რისთვისაც ბერძენთა გადასასახლებლად საჭირო საბაბი იძსლებოდა. ამავე დროს, ის ეპოქა, რომელსაც საქართველოს მტრები „ქართველთა დიქტატურად“ წარმოაჩენენ, ყველაზე რეპრესიული სწორედ ჩვენი ერისათვის გახლდათ. საბჭოთა იმპერიაში შემავალი ხალხების „ეროვნული“ ბოლშევიკები მეტ-ნაკლებად თავიანთი ქვეყნების ინტერესს ანხორციელებდნენ ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ. გამონაკლისი მხოლოდ ქართველი ბოლშევიკები იყვნენ, რომელთაც, კრემლის გეგმათა შესაბამისად, ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი მეზობელ „მოძმე“ რესპუბლიკებს დაურიგეს, ქვეყნის შიგნით ავტონომიების სახით „არაქართული“ ქვეყნები შექმნეს, ქართველი ერი აქციეს საეთნოფაბრიკაციო ნედლეულად და ა.შ.

ბუნებრივია, საქართველოში მოსახლე არაქართველები, რომლებიც ქმედუნარიანი შედეგებით არ გამოირჩეოდნენ საბჭოთა საეთნოფაბრიკაციო ინდუსტრიაში, ისჯებოდნენ. არც თუ იშვიათად, სადამსჯელო ღონისძიებებს თვისტომთ ავალებდნენ. ასე მაგალითად, წინამდებარე მიმართვის ერთ-ერთი ხელმომწერის ნიკო ჯომიადის მამა – ელისეი (ლისეოძ, სოხუმის რაიონის სოფელ პავლოვკის გიორგი მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე გახლდათ. მის სახელთან არის დაკავშირებული ბერძენთა არაადამიანურ მდგომარეობაში ჩაგერთებენო“ და ისინიც თავს ყველა საშუალებით „შველოდნენ“...

აი, ამგვარ ქვეგუდანთა ნაშიერია ის ხუთეული, რომელიც ამ ვითომ მიმართვის ავტორად მოგვევლინა ამჯერად, ისინიც თავიანთი წინაპრების საძრახ გზას ადგანან. ეს ხალხი, დღე ერთი იყო და სოხუმიდან სხვადასხვა სახის საჩივარს აგზავნიდა კრემლში, რითაც აქანდაკებდა „ქართულ დიდმპყროგლობას“ და „რუსული სათნოების“ სტერეოტიპს ქმნიდა.

როდესაც 50-იანი წლების მეორე ნახევრის შემდეგ, 1949 წელს აფხაზეთიდან შუა აზიაში გასახლებული ბერძნების დაბრუნება დაიწყო, მაშინ ქართველ დამხვდურებსა და ბერძნებს შორის ნათესაობის ახალი სახეობა დამყარდა – „ჩემი სახლიპატრონი“, რაც ნათელმირონობაში გადაიზარდა. ამ ურთიერთობას მოჰყვა საკარმიდამოთა ზიარი მფლობელობა, ანუ მოგრუნებულის ფეხმომაგრებაზე საერთო ზრუნვა სანამ გადასახლებიდან ჩამოსული გაიჩენდა საკუთარ ჭერს. ამდენად, ხელის გამართვაზე მოთხოვნილება საყოფაცხოვრებო მოვალეობა გახდა, მაგრამ ეს ცალკე თემაა და ამაზე შესაბამის დროს ვისაუბროთ. ამჯერად სხვა რამ მინდა გითხრათ, ვინაიდან, ასეთი ურთიერთობა კრემლის „სათნოებას“ ხელს არ აძლევდა, სულგაყიდულებზე დაყრდნობით მოხერხდა ბერძნულ-ქართული თემების დაპირისპირება, თუმცა ის ხანგრძლივ უმართაობაში არ გადაზრდილა.

მათ შორის, ვინც ქართულ-ბერძნული ურთიერთობების საფუძვლებს ანმტკიცებდა, ჩემდა სამაყოდ, მეც გახლდით, ამიტომ ვიცნობ ამ ხალხს, ვიცი მათი ნამდვილი მიზნები, ისინი არათუ პონტოელ ბერძნებს, სრულიად ელადას ჩასცემენ მახვილს, თუკი კარგად გააძლებენ.

ასეთია ზემოთ ხსენებული ხმაგოდვის უკან მდგარი სიმრავლის, ანუ საბჭოთა ინკუბატორების პირმშოთა ნამდვილი სახე, რომლებიც ბერძნულ პასპორტში არიან შეფუთული ამჟამად.

დიდხანს ვიფიქრე, ამ მორიგი ცილისწამებისთვის რა პასუხი გამეცა. გონებაში მოვითვალსაწიერე XIX-XX საუკუნეების მანძილზე გადანასახლები ჩემი წინაპრების საფლავები ტრაპიზონში, სოხუმში, სირ-დარიაში, ჩიმკენტში, ათენში, სალონიკში, თბილისში... ფიქრებში მოვესათუთე ჩემი ბერძენი დედის ძუძუწმინდას, მოვეფერე მის საფლავს, „ვეესაუბრე“ და „ვეკამათე“ სიყრმის მეგობრებს, ბიძაშვილებს, დეიდაშვილებს – რაც მთავარია, აღსარება „ჩავაბარე“ ჩემს ხეობელ მოძღვარს, სრულიად საქართველოსგან პატივმიგებულ მამა საბას – თბილისში წმინდა სამების ტაძრის მოძღვარს (იგი დღეს საბერძნეთშია...ძ და თითქოს კი არა, ცხადში ვიბრძენი მათი თანადგომა იმაში, რომ აფხაზეთის ბერძენთა სუფთა ოჯახებში მათდა უნებურად გარედან შესროლილი ჭუჭყი გამომეზეურებინა, რადგან ეს აუცილებელი თუნდაც იმიტომაა, ჩვენი ხალხების სახლიკაცობაში ასეთი ჭუჭყი სიბინძურედ რომ არ იქცეს...

ამრიგად, ამ ლიცენზირებული ცილისმწამებლების მიმართვის შესავალი იწყება ისეთივე ფაბრიკაციული „ბრალდებებით“ და სიცხადეში იმგვარი შუქ-ჩრდილების ათამაშებით, როგორითაც გამოირჩეოდა თავის დროზე აგრესიული სეპარატიზმის კრემლში გაგზავნილი საჩივრები:

ბერძნების მიმართვა აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი

პატივცემულო სერგეი ვასილიევიჩ! თქვენ მოგმართავენ ბერძენი ეროვნების აფხაზეთიდან გამოსულები. ნება გვიბოძეთ, კიდევ ერთხელ მოგილოცოთ თქვენ და მრავალტანჯული აფხაზეთის ყველა მცხოვრებს, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს. აფხაზეთის ხალხმა ეს უფლება მოიპოვა თავისი სისხლით. ბერძნები, რომლებმაც დატოვეს მშობლიური ადგილები საბრძოლო მოქმედებებთან დაკავშირებით და იძულებული გახდნენ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში, საბერძნეთში აღმოჩნდნენ მეტად რთულ სიტუაციაში: ენის უცოდინარობა, დოკუმენტების უქონლობა და უსახსრობა. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ჩვენ შევძელით დაგვეძლია ყველა ეს სირთულე და კვლავ დავმდგარიყავით ფეხზე. და მთელი ამ წლების განმავლობაში ჩვენ დიდ მუშაობას ვეწეოდით საბერძნეთის 500 ათასზე მეტ რუსულენოვან დიასპორას შორის, რათა ზუსტად აგვეხსნა მათთვის აფხაზეთში შექმნილი სიტუაცია. და შეიძლება ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ითქვას, რომ ომისშემდგომი წლების განმავლობაში ჩვენ ვიყავით აფხაზეთის, აფხაზი ხალხის სრულუფლებიანი წარმომადგენლები აქ, ყოფილი სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ. და ომის დამთავრებისთანავე აფხაზეთის ბერძნები, თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში, არაერთგზის ვაგზავნიდით აფხაზეთში ჰუმანიტარულ დახმარებას (არა მხოლოდ ბერძნებისთვის). ცოტა ისტორიაც. XX საუკუნეში აფხაზეთის ბერძნებმა გადაიტანეს ტრაგედია – 1949 წელს ათეულ-ათასობით ძირეულმა ბერძენმა განიცადა სტალინური რეპრესია და ისინი გაასახლეს აფხაზეთიდან ყაზახეთის სტეპებში. მათი სახლები და ქონება გადასცეს მეზობელი ქვეყნის არაძირეული ეროვნების წარმომადგენლებს, რომლებიც ჩაასახლეს აფხაზეთის გამოთავისუფლებულ რაიონებში. არც ერთმა „ახალი მფლობელიდან“ არ გაათავისუფლა დაკავებული ბინა. გადმოსახლების მიზეზი, რასაკვირველია, იყო დემოგრაფიული სიტუაციის მკვეთრი ძალადობრივი ცვლილება... უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ, აფხაზეთის ომამდე რამდენიმე წლით ადრე, დაიწყო აფხაზეთიდან ბერძნების გეგმაზომიერი გამოდევნა. აიძულებდნენ მათ მ.კოსტავას სახელობის საზოგადოების წარმომადგენლებისთვის მიეყიდათ თავიანთი საცხოვრებელი ადგილები ნახევარ ფასად...

სერგი (გიორგი) საჯაია,
მწერალი, ნიკო ნიკოლაძის სახელობის სალიტერატურო პრემიის ლაურეატი

(დასასრული იქნება)

◎ მთავარი თემა

„ალდგომა და ხვალეო“

(მესამე გვერდიდან)

ორგანიზატორობაზე ასევე უარი განაცხადა ფორუმმაც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ფორუმის წევრები საკმაოდ აქტიურად არიან ჩართულნი აქციების მიმდინარეობაში და ბევრი საკითხის გადაჭრაში ღებულობენ მონაწილეობას.

აქციაზე საკმაოდ სერიოზული რაოდენობით არის წარმოდგენილი ბურჯანაძის პარტია, მაგრამ ის მაინც არ შედის აქციების მმართველ ჯგუფში.

ამის მიზეზად, ძალბატონი ნინოს მიმართ არსებული სხვადასხვა სახის პრეტენზიები შეიძლება დასახელდეს.

მე ნამდვილად არ ვაპირებ პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ადვოკატობას, მაგრამ მგონია, რომ 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ პოსტიდან მისი გადადგომა კიდევ უფრო დაძაბავდა ისედაც დაძაბულ ვითარებას, ხოლო ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგი არ შედგებოდა.

თუ კარგად გავიხსენებთ, მაშინ ძალბატონი ნინოს რეიტინგმა საკმაოდ მალლა აიწია (მან დაგმო გგაშვილის მიერ ჩატარებული „გამარჯვების ალლუმი“ და მოსახლეობისთვის სიტუაციის დარეგულირების გარანტად იქცა. ბუნებრივია, რომ „მეორე პირის“ რეიტინგის ასეთ აწევას ნამდვილად ვერ შეურიგდებოდა „პირველი პირი“ და ოპოზიციისთვის მიცემული დაპირებების შეუსრულებლობით მოახდინა მისი დისკრედიტაცია.

რაც შეეხება ბურჯანაძის გუნდს, იგი „ერთიანიან პარტიებთან“ შედარებით საკმაოდ სერიოზულ ძალას წარმოადგენს და გარკვეულ მოენტში ნამდვილად ეძნება პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების პრეტენზია.

წინა თვეში მოახდარი მოვლენების გამო, ბურჯანაძის პარტია ოპოზიციურ ძალებში ერთ-ერთ ფლაგმანად წარმოჩნდა, რაც აშკარად შეეწინააღმდეგა ე. წ. „ბალანსის პრინციპებს“ და აქციების დაწყებისთანავე დაიწყო ალასანიას სატელევიზიო პიარი (კომენტარების 90 პროცენტს ალასანია აკეთებს).

საკმაოდ სერიოზულ ძალად ყალიბდება აქციის მმართველი გუნდი, ანუ „ალიანსი“, კლუს გაჩეჩილაძე, დავითაშვილი, ზურაბიშვილი, ბესელია.

ბურჯანაძის გუნდისგან განსხვავებით, რომელშიც როგორც „თეორეტიკოსები“ (ანუ პარლამენტის ყოფილი წევრები), ასევე „პრაქტიკოსებიც“ (ანუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ნამუშევარი ხალხი) იმყოფება, „ალიანსი“ მთლიანად „თეორეტიკოსებით“ არის დაკომპლექტებული, მაგრამ მათ „ახლების“ სახით, საკმაოდ დიდი ტექნიკური ბაზა აქვთ (მაგ: რეგიონალური ოფისები, გამოცდილი კადრები და ა.შ).

მაგრამ ყველაფერი ამის მიუხედავად, არც ერთ მათგანს სრული პასუხისმგებლობის აღება ჯერჯერობით არ ძალუძს.

ახლა რაც შეეხება მიმდინარე აქციას:

აქ ყურადღებას არ გავამახვილებ „ქართული მიტინგებისთვის“ დამახასიათებელ ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა მაგალითად ტრიბუნასთან საძმიანი სახით ახლოს მისვლის, ანუ „მოვლენათა ეპიცენტრში ტრიალის“ სურვილი, რაც ძირითადად იმ „სისუსტითაა“ განპირობებული, რომ ყველას სურს, მისმა მეზობელმა, ახლობელმა თუ ნათესავმა თვალი მოჰკრას და ცვლილებების „ერთ-ერთ შემოქმედად“ ჩათვალოს.

უბრალოდ ვიტყვი, რომ ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნისაგან განსხვავებით, საქართველოში საპროტესტო აქციები ძალიან მშვიდად მიმდინარეობს. ხელისუფლებამ წესით კარგად უნდა იცოდეს, რომ ნებისმიერი სახის პროვოკაცია მხოლოდ გააღრმავებს პროტესტის გრძნობას და ახალ მუხტს მისცემს აქციის მონაწილეებს.

საქართველოს მოსახლეობა, ერთი მხრივ, უკვე დაიღალა უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მუდმივი პროტესტისა და დაძაბულობის განცდის ქვეშ ცხოვრებით. მათ უნდათ, ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს ასეთი „რეჟიმით“ ცხოვრებას, მაგრამ, სამწუხაროდ არ არსებობს იმის გარანტია, რომ „გაისად ისევ არ მოგვიწევს შეკრება, უკვე კუკავას გადადგომის მოთხოვნით“ (ფრაზა, რომელიც ტრიბუნასთან ახლოს, მიტინგის პირველივე დღეს გავიგონე აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი პარტიის წევრისგან), მაგრამ, მეორე მხრივ, ყველამ კარგად იცის, რომ დღევანდელი ხელისუფლება სასწრაფოდ შესაცვლელია.

პირველი მიზეზის გამო, მოსახლეობის დიდი ნაწილი, არსებული პროტესტის მიუხედავად, არ მიდის აქციაზე, თავიანთ პასიურობას ოპოზიციისადმი უნდობლობით ხსნის და პრივატულ საუბრებში ბრძოლის კონკრეტულ, რეალურ გეგმას მოითხოვს.

ხოლო რაც შეეხება აქციაზე მისულ ხალხს, მათზე ორი, ძალიან საყურადღებო და აქციის ორგანიზატორთა მიერ აუცილებლად გასათვალისწინებელი ფაქტორი მოქმედებს.

1. ე. წ. „სახლისა“ და „სხვა საქმეების“ ფაქტორი.

2. პრობლემის სწრაფად, ანუ რამდენიმე დღეში გადაჭრის სურვილი.

აქციების ორგანიზატორთათვის პირველი პუნქტი საკმაოდ დიდი პრობლემაა, რადგან მიტინგზე მისულ მოქალაქეთა 90 პროცენტს აქციაზე საკუთარი პროტესტის გამოხატვის გარდა კიდევ „უამრავი საქმე აქვს“. ასევე ყველა მონაწილისთვის ძალიან კარგადაა ნაცნობი ის ტექსტები თუ ლოზუნგები, რაც აქციაზე ითქმება.

ამიტომ ძალიან ხშირად ისმის შემდეგი სახის ფრაზა: ჰო, მოვედი, აბა რა უნდა ვქნა, მაგრამ ახლა გავალ და ერთ საათში მოვალ.

რაც შეეხება მეორე პუნქტს, ეს ოდნავ უფრო დიდი პრობლემაა აქციის ორგანიზატორთათვის.

ცვლილებების დიდი სურვილის მიუხედავად, ფაქტობრივად ყველამ კარგად იცოდა, რომ 9 აპრილს აქციაზე მისულ თუნდაც 250000 კაცს, მიხეილ სააკაშვილი 10 აპრილს „ბოდიში, ხალხო, ამდენ ხანს რომ გაცდევინეთ და აბა წავედი ახლა მეო“ რომ არ ეტყოდა, მაგრამ გულის რომელიღაც კუნჭულში ყველას „უკიაფებდა „პატარა ნაპერწკალი – „იქნება და კი წავიდესო“, მაგრამ რეალობასთან შეხება და პროტესტის დროში გაწელვა იმ პირველი წუთების აგზნებას ძალიან ამცირებს.

სწორედ ამის გამო, აუცილებელია აქციის მიმდინარეობის დროს რაიმე ახალი იდეის, პროტესტის ახალი ფორმის შემოტანა.

არაძალადობრივი ბრძოლის გაგრძელების კლასიკური, ანუ მაჰათმა განდის მეთოდის თბილისური ვარიანტი (ავლაბრის მეტროსა და ტელევიზიამდე მანიფესტაციის მოწყობა, მიმდებარე ტერიტორიის პიკეტირება, ხოლო შემდგომ კვლავ მსვლელობით რუსთაველზე დაბრუნება), მართლაც ახალი და საინტერესო ფორმა გამოდგა და გარკვეული პერიოდი, მიტინგის „გაცივებას“ ნამდვილად უშლიდა ხელს, მაგრამ ბზოების დღესასწაულის გამო აქციაზე „შესვენების გამოცხადებამ“ ძალიან დააგდო არსებული „მუხტი“.

სამაგიეროდ ხელისუფლების ზოგიერთი მომხრის „ზედმეტმა მონდომებამ“, რაც პრესცენტრის დარბევაში გამოიხატა, „შესვენებაზე გასული ხალხი „უკან მიაბრუნა და აქციის დაცვის „საზრუნავი გაუჩინა“.

ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ეს დარბევა ხელისუფლების მაღალ ეშელონებში დაიგეგმა (ეკა ზღულაძე გულწრფელად იყო გაკვირვებული თავისი ზოგიერთი ხელქვეითის ამ ყოვლად ზედმეტი მატრაკვეცობით), მაგრამ ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ეს ხელისუფლება აუცილებლად შესაცვლელია.

ზუსტად ვერ გეტყვით, რამდენ დღეს გასტანს აქციის მონაწილეთა შემართება, მაგრამ, სავარაუდოდ, ორგანიზატორები ალბათ რამდენიმე ახალი მიმართულებით გააგრძელებენ ბრძოლას.

პირველი მიმართულება იქნება აქციაში რეგიონების ჩართვა (ადგილებზე საპროტესტო გამოსვლები, გარკვეული ჯგუფების თბილისში ჩამოსვლაა, მეორე მიმართულებად შეიძლება რეფერენდუმის მოთხოვნისთვის ხელმოწერების შეგროვება გახდეს. ამავე დროს გააქტიურდება ურთიერთობა სხვადასხვა საელჩოებთან თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან სააკაშვილთან მოლაპარაკებების თაობაზე.

ხელისუფლება კი (თუ ჯერ კიდევ შეუძლია მოვლენების რეალურად შეფასება) ყველანაირად აარიდებს თავს დაპირისპირების ესკალაციას (მცირე პროვოკაციებზე უარს ნამდვილად ვერ იტყვის) და პროცესის დროში გაწელვას შეეცდება.

კონკრეტულად როგორ და როდის დამთავრდება ეს ყველაფერი, ჯერჯერობით ვერავინ ვერ იტყვის, მაგრამ, როგორც ნათქვამია, „ალდგომა და ხვალეო“ ამ სიტყვის როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით.

ვნახოთ, დაველოდოთ. სადაც ამდენი ხანი გვიცდია, ცოტას კიდევ როგორ არ მოვითმენთ.

გია გაბრიჭიძე

◎ ????????

ქართველობას!

ჯაგუა ამირეჯიბის ნათქვამი საცხრააპრილოდ

9 აპრილს ჭაბუას მეუღლეს თამარ ჯავახიშვილს ვესაუბრე ტელეფონით, თამარმა ჭაბუას ნათქვამი გადმომცა, ჩვენ ქართველებთან ერთად ვართო...

ვით მტერი ვერ მოკვეთავს
ჩემს მეღელს და ჩემს თავლას,
ნუ მატონობთ მოყვრებთან,
იმატონეთ მტრებთანა.

სულს ერთი რამ ამდიდრებს –
იყავ თავისუფალი,
მრავალთშორის ადიდეთ
ერთადერთი – უფალი!

იდგე მარად ღმერთთანა,
აი, რაა მთავარი,
ჩვენ, ორთავე თქვენთან ვართ –
ჭაბუა და თამარი!

ჯანსულ ჩარკვიანი.

◎ დროზე გაგვასწარით!

სახელი გადავირქვა თუ!..

დილით ეზოში რომ გამოვედი, მეზობელი, ჩემკბილა, არც ისე დიდი ხნის წინათ ერთ-ერთი სოლიდური, ყოფილი საკავშირო მნიშვნელობის ინსტიტუტის ყოფილი ხელმძღვანელი და აწ უკვე „ჩარეცხილთა“ ლიგის წევრი, მისალმების მაგივრად **გივიიიო, როგორღაც საკანი №5-ის მინამგვანად შემეხმიანა.**



კი, მეხუმრა, მაგრამ როგორღაც დავიზაფრე, ძარღვებში სისხლი გამეყინა...

– მე რომ შენს ადგილას ვიყავო, სახელს გამოვიცვლიდიო, – არ შემეშვა.

– ხომ არ გაგიჟდი, იმ ვილაც არაკაცის გამო უფლისაგან ნაბოძებ სახელს, აბა, როგორ შევიცვლი-მეთქი.

– შენი საქმისა შენ იციო.

გზად უამური ფიქრი ამეკვიატა, კი, „მაესტროდან“ ნაჟღერებ, უსაშველოდ წაგრძელებულ ჩემს სახელს თითოეულ მარცვალში რამდენი ბოლმა, რამდენი ტკივილი, რამდენი გვერი სხვაც არის ჩაქსოვილი, რაც არც თუ ძნელი წასაკითხ-ამოსაცნობია, თუ კაცს იოტისოდენად მაინც გაგაჩნია სამშობლოს, ერისა და ბერის სიყვარული, ქვეყნისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა. არადა, ეს ვიღაც მაღალი რანგის პარლამენტარ-ჩინოვნიკი, წლების მანძილზე კისერზე რომ გვაზის წურგელასავით და სისხლსა გვწოვს, კვლავინდებურად ჰირს ვეღარ აღებს და მაინც უდარდელად რო ამთქნარებს, ვითომც არაფერიო.

მაშინ ხომ დაგვემუქრა, სულს ამოგხდით, გადაგივლითო, აკი შეასრულა 7 ნოემბერს, შერჩა ხახვივით და...

ფიქრიდან წამოჩიტული გოგოგიჭეების ძახილმა გამომიყვანა, გივიიი, გივიიიო, ერთმანეთს ეხალისებოდნენ.

სალამოს, სახლში გრძელ მაგიდასთან ჭარმაგნიც – გივიიი, გივიიიო – თან დომინოს უთხლაშუნებენ. ასე ხალისობენ დღეს თურმე სოფლადაც, ქალაქებში ხომ არის და არის.

ამ დროს მეხუთე საკანში თვით მგვემი, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული კაცი დაჭრილი დათვივით ბორგავს, ბრდღვინავს და კედლებს ასკდება, ჰა და ჰა, სადაცაა გამოანგრევს, ჰოდა, იმ გივიის მინდა ვურჩიო, დროზე გაასწროს, და მარტო მან კი არა, ყველამ, ვინც ამ ქვეყანას, ამ ხალხს 7 ნოემბერი, რვა აგვისტო და კიდევ ათასი უბედურება მოუტანა, თორემ მარტო მე ერთი გივი კი არა, ათი ათასობით ამ სახელის მატარებელი და კიდევ სხვა სახელისანი ერთად დავდგებით, რა თქმა უნდა, შიშველი ხელებით, ერთად დავდგამთ პანტომიმის დიდ სპექტაკლს და...

გივი ჯახუა

◎ მკითხველის თხოვნით

სად არის ლევან ბერძენიშვილი?!

ოპოზიციის მიერ თბილისის მასშტაბით დაწყებულ საპროტესტო აქციებზე აგერ უკვე მეშვიდე დღეა ენციკლოპედიური ცოდნის პატრონი ლევან ბერძენიშვილი არ ჩანს...

ხელისუფლება ამ ფაქტს ოპოზიციის შიგნით განსეთქილებით ხსნის და ავრცელებს ჭორებს, რომ ბერძენიშვილი გარკვეული უთანხმოების გამო თანაგუნდელებს გაემიჯნა...

ოპოზიციის ლიდერები გავრცელებულ ხმებს აბსურდულს უწოდებენ და აცხადებენ, რომ ბერძენიშვილის გაუჩინარების მიზეზი არა რაიმე უთანხმოება, არამედ მისი ჯანმრთელობის გაუარესების პრობლემებია. როგორც „ალიანსი საქართველოსთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით გამყრელიძემ განგვიმარტა, იგი ორი კვირის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა სამკურნალოდ.

გამყრელიძის თქმით, ბერძენიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად დამაკმაყოფილებელია, ის უკვე სამშობლოშია და უახლოეს დღეებში აქციას შეუერთდება.

ჯაბა ჟვანია

◎ პოზიცია

ნინო ბურჯანაძე:

ოპოზიციის ლიდერობის ყიდვა შეუძლებელია

ბოლო** რამდენიმე დღეა აქტიურად ვრცელდება მითქმა-მოთქმა ოპოზიციონერ ლიდერებს შორის იმთავითვე არსებული აზრთა გამძაფრების თაობაზე. ოპოზიციის კულუარებიდან არაერთმა ინფორმაციამ გაჟონა იმის შესახებ, რომ პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, „დემოკრატიული მოძრაობის – ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე, ვერ დაიახლოვა რა მისი მაღალი რეიტინგის გამოსაყენებლად ლევან გაჩეჩილაძე, ახლა სხვა ოპოზიციურ ძალებს იყენებს ოპოზიციური მოძრაობის სათავეში ჩასადგომად და ამ მიზნით არც ფულადი სახსრების აქტიურ ხარჯვას არიდებს თავს. ზოგიერთი პოლიტიკოსისა და ანალიტიკოსის აზრით, რიგი სისტემური ცვლილებების გატარების, უპირველესად კი საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაციის შემთხვევაში დაბალი რეიტინგის მქონე ბურჯანაძე ქვეყნის პირველი პირი ვერასოდეს გახდება. ამ და სხვა საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „პირველი“ თავად ნინო ბურჯანაძეს ესაუბრა.

– ქალბატონო ნინო, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ხელისუფლების მიერ თქვენი ულტიმატუმის დაკმაყოფილება?

– ნამდვილად რეალურია, რადგან თქვენ ხედავთ, რომ დღეს რუსთაველის გამზირზე უამრავი ხალხია მოსული. ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ ხალხი არ გამოვიდოდა, ან გამოვიდოდა ნაკლები რაოდენობით, მაგრამ რეალურად ჩვენი მხარდამჭერები არათუ არ მოვიდნენ, უწყვეტი ნაკადით გვიერთდებიან!. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მუხტი აიძულებს ხელისუფლებას, გადადგას შესაბამისი ნაბიჯები.

– ხელისუფლებასთან დიალოგს კვლავინდებურად გამორიცხავთ (ერთი კვირის წინათ არსებული მდგომარეობისგან განსხვავებით, დღეს უკვე ექსპერტების უმრავლესობა დიალოგის დაწყების აუცილებლობაზე მიუთითებს)?

– დიალოგი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის გადადგომასთან დაკავშირებით! იქნებ მითხრათ, რაზე უნდა ვესაუბროთ ამ ხელისუფლებას?! როცა ხელისუფლებამ დიალოგი შემოგვთავაზა, იმ ღამეს ზონდერბრიგადები და, ასე ვთქვათ, საიდუმლო პოლიცია გამოგზავნეს, რომელმაც გადაწყვიტა, ჩვენი ტრიბუნა დაერგია, სცემა ჩვენი აქტივისტები... ამ ყველაფრის შემდეგ რა დიალოგზე შეიძლება საუბარი?!

– ამ ინციდენტამდე თქვენ დიალოგის მომხრე იყავით?

– მე არ ვიყავი დიალოგის მომხრე, იმიტომ, რომ არ მჯერა ხელისუფლების და პრეზიდენტის. მე ვიცი, რომ მას სჭირდება დიალოგი დროის გასაწელად, იმისთვის, რომ ხალხი კიდევ ერთხელ მოატყუოს.

– მაგრამ რიგი პოლიტიკოსები და ექსპერტები ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა მოტივებს ასახელებენ. კერძოდ, მათი აზრით, ქვეყანაში სისტემური ცვლილებების საკითხზე დიალოგი პირადად თქვენ ხელს არ უნდა გაძლევდეთ, განსხვავებით, მაგალითად, ლევან გაჩეჩილაძისგან, ირაკლი ალასანიასგან და სხვებისგან. მათი აზრით, თქვენ პოლიტიკური რეიტინგი არ გაქვთ, ამდენად, თუ საარჩევნო სისტემა გაუმჯობესდება და ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდება, პირადად თქვენ ამ არჩევნებში გამარჯვების შანსი არ გაქვთ....

– მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ჩემთან დაკავშირებით ძალიან ბევრი აზრი მუსირებს. ხშირ შემთხვევაში ასეთი მოსაზრებები ხელისუფლების „ხელშეწყობით“ გამოითქმის, ისევე, როგორც მისი ხელშეწყობითა და დაკვეთით ხორციელდება უამრავი ქმედება ჩემს წინააღმდეგ. დამანებოს თავი ხელისუფლებამ! ხომ ამბობენ, რომ არ ეშინიათ ბურჯანაძის, რომ მე არ მაქვს მხარდაჭერა?! რატომ წუხდებიან მაშინ ასე ძალიან ბურჯანაძის პოზიციასთან დაკავშირებით?! რატომ ხარჯავენ ამდენ დროს, ენერგიას და ფულს, რათა ბურჯანაძის ყველა ნაბიჯი მეთვალყურეობის ქვეშ იყოს?! ბურჯანაძე კი არ არის რადიკალური, ხალხია რადიკალური! - ამას ვერ მიხვდა ეს ხელისუფლება, ამას ვუმტკიცებდი სააკაშვილს ოთხი წელი, რომ ის ხალხს არ უნდა მოწყვეტოდა! ყველაზე უცნაური ის არის, რომ სააკაშვილი, რომელმაც თითქოსდა ყველაზე კარგად იცოდა ხალხის ძალა, ვერაფრით ვერ მიხვდა, რომ ხალხს მართლა დიდი მოთმინება აქვს, მაგრამ როცა მოთმინების ფიალა აევსება, მერე უკან აღარ იხევს! თუ გნებავთ, ერთად ჩავიდეთ, მოვძებნოთ ერთი ადამიანი, რომელიც დიალოგის მომხრეა...

– ოპოზიციურ სპექტრში თქვენს მდგომარეობას როგორ შეაფასებდით სადღეისოდ? ამბობენ, ლიდერობა გსურთ და მის ყიდვასაც კი ცდილობთ....

– როგორ ფიქრობთ, ლიდერობა იყიდება? არა მგონია, საზოგადოებაში ასეთი აზრი რეალურად იყოს, ეს უბრალოდ ხალხის შეურაცხყოფაა. ვინც ამას ამბობს, მინდა ვკითხო: ამ ადამიანების ყიდვა შეიძლება?! ეს ხომ ხელისუფლების დაკვეთაა! თქვენ არანაირად არ გდებთ ბრალს რამეში, მაგრამ ყველა, ვინც ამას ამბობს, ხელისუფლების პირდაპირ დაკვეთას ასრულებს! ამით ხელისუფლება ცდილობს, ხალხს რამენაირად იმედგაცრუება და უნდობლობა ჩაუნერგოს. მე აქ ჩემს შვილებთან ერთად ვდგავარ, დარგევის ღამეს ორივე შვილი ჩემს გვერდით იდგა. ასეთი რამ არ იყიდება, – ამას ვერ მიხვდა სააკაშვილი! მას ეგონა, რომ თუ გევრ ფულს გამოიყენებდა ხალხის მოსასყიდად, სამუდამოდ დარჩებოდა პრეზიდენტად. იმდენი ფული, რაც სააკაშვილს და ხელისუფლებას აქვს, აქ მდგომ ყველა ოპოზიციურ ძალას კი არადა, ყველა იმ ადამიანს ერთად აღებულს არ აქვს! იყიდოს თვითონ ლიდერობა, რატომ არ ყიდულობს?!

– საუბარი იყო არა ხალხის, არამედ რიგი ოპოზიციური ძალების მოსყიდვაზე, ქალბატონო ნინო, მაგრამ გადავიდეთ სხვა საკითხებზე. მიხეილ სააკაშვილმა ერთ-ერთ უცხოურ მედიასაშუალებას ინტერვიუ მისცა, რომელშიც ამბობს, რომ ოპოზიციის გარკვეული ნაწილი რუსეთიდან ფინანსდება, მაგრამ ფაქტებს ჯერჯერობით არ აქვეყნებს... რას იტყოდით ამასთან დაკავშირებით?

– რა უნდა გიპასუხოთ?! პრეზიდენტი, რომელიც ფაქტების გარეშე საუბრობს, უპასუხისმგებლო ცილისმწამებელია და სხვათა შორის, ასეთი ცილისწამებისთვის პასუხი უნდა აგოს!

– და ბოლოს, ვთქვათ, გადადგა მიხეილ სააკაშვილი, სად ხედავს ნინო ბურჯანაძე თავის ადგილს?

– ჯერ გადადგეს და მერე გეტყვით, სად ვხედავ მე ჩემს ადგილს. ერთი რამ ვიცი: რაც არ უნდა იყოს, მე ყოველთვის მაქვს უფლება და შესაძლებლობა, ამ ხალხთან ჩავიდე და მათ ველაპარაკო. ზოგისგან საყვედურს მოვისმენ, ზოგისგან – მოფერებას, ზოგისგან – კითხვებს, მაგრამ მე ამ ხალხთან ლაპარაკის უფლება მაქვს! ამის უფლება მე თავად ამ ხალხმა მომცა! მე არ მეშინია და არ მრცხვენია ქუჩაში გავლის. ეს არის ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაფერი დანარჩენი მეორეხარისხოვანია.

– შესაძლებელია თუ არა, ნინო ბურჯანაძე კვლავ ხელისუფლებაში ვიხილოთ?

– ეს ხალხის გადასაწყვეტია.

ლევან ჭითანავა,
საინფორმაციო სააგენტო „პირველი“

◎ რეპლიკა

როგორ „გაადიეტურეს“ ქართველმა სამთავროზო „ექიმებმა“ მედვედევის „მსუყე“ ციტატი

რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ლონდონის ეკონომიკის სკოლაში ამასწინანდელი გამოსვლისას სხვათა შორის აღნიშნა: „ჩვენ გვსურს საქართველოსთან ვიქონიოთ კეთილი, კარგი ურთიერთობები, ჩვენ გვიყვარს და ვაფასებთ ქართველ ხალხს. მე არ მსურს არანაირი ურთიერთობა პრეზიდენტ სააკაშვილთან“, მან ხაზგასმით თქვა ასეთი რამეც. **„თუკი დემოკრატიული პროცესების შედეგად საქართველოში ხელისუფლება ადრე თუ გვიან შეიცვლება, ჩვენ გახსნილები ვართ საიმისოდ, რომ ვიმსჯელოთ ნებისმიერ თემაზე“** (გამოყოფილია ჩვენს მიერ – **რედაქცია**). ეს ინფორმაცია გადაიცა სატელევიზიო არხ RTVI-ს საშუალებით (მოგეხსენებათ, რუსული არხებიდან, რომლებსაც საინფორმაციო გამოშვებები აქვთ, მხოლოდ ეს ტელეარხი არ არის საქართველოში აკრძალული ხელისუფლების მიერ, აღნიშნული ინფორმაცია დევს ინტერნეტშიც. მაგრამ...

...ქართული ტელეარხების მაყურებლებს – ეს კი საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაა – კერძი სახელწოდებით „მედვედევის ციტატი“ მხოლოდ მის „დიეტურ ვარიანტში“ უკრემოდ მიართვეს. რუსეთის პრეზიდენტის აქცენტი ქართველ სამთავროზო „ექიმებს“ ზედმეტად მსუყედ და მოქალაქეების ჯანმრთელობისთვის საშიშად მოეჩვენათ, ისევე როგორც ყველა რუსული საინფორმაციო გადაცემა; ამიტომ დ. მედვედევის გამოსვლის ეს უმნიშვნელოვანესი დეტალი ქართულ სატელევიზიო რეპორტაჟებს მოაცილეს. სურათი ისე დაიხატა, თითქოს რუსეთის ხელისუფლებას სურს მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების მოცილება და მის ნაცვლად მარიონეტული რეჟიმის დამყარება, რომელთანაც თანასწორუფლებიან დიალოგს სულაც არ აპირებს. ხოლო საქართველოს „დემოკრატიული“ პრეზიდენტის წინაშე მუდმივად კუდის მოქიცინე კომენტატორებმა, როგორიცაა მაგალითად, გია ნოდია, „კეთილშობილი მძვინვარებით“ აღნიშნეს, რომ აი ისინი, ოპოზიციონერები თავიანთი მცდელობებით – ხელისუფლებას ჩამოაშორონ სააკაშვილი – ნებსით თუ უნებლიეთ ასრულებენ კრემლის სურვილს.

ნოდიების ამბავი გასაგებია. მაგრამ გაოცებას იწვევს ოპოზიციის დუმილი, რომელმაც სრულიად უყურადღებოდ დატოვა პრეზიდენტ მედვედევის გამოსვლის ეს ფრაგმენტიც და, მით უფრო, პრეზიდენტ სააკაშვილის ერთგულ ცენზორთა მორიგი „ცულლუტობა“.

caucasia-experts
პოლიტიკური ვებჟურნალი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ქართული გადასრეები

კრიზისი შეეხო „ახალი ცივი ომის“ ყველაზე ცხელ ფრონტს და მის შედეგზე არის დამოკიდებული საქართველოს ნატოში შესვლა. საპაკაშვილის რეჟიმის ავტორიტარული და იდეოლოგიური გადახრები იწვევს შეშფოთებას მომავალ სავარაუდო მოკავშირეებთან. რუსეთისთვის, რომელმაც ნატოს გაფართოების შეჩერება თავის დიპლომატიურ და სტრატეგიულ პრიორიტეტად მიაჩნია, ესეც „ჭეშმარიტების მომენტია“.

„შეუცნობელია კრიზისის შედეგი. სააკაშვილის მოწინააღმდეგეები განცალკავებულად იბრძვიან: იმაში, რაც შეეხება პრინციპს „დაყავი და იბატონე“, ქართველი პრეზიდენტი წინწაუსწრები ოსტატია“. ამავე დროს სააკაშვილმა დაკარგა მთავარი კოზირი – პრაქტიკულად მოინახულა ეს ქვეყანა თავისი ამასწინანდელი ტურნეს დროს. ესაა „რეალიზმის საკითხი“: ავღანეთთან ომში და შუა აზიის სხვა დიდ მანევრებში, ერაყთან ურთიერთობაში პარტნიორობას რუსეთთან უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე პატარა საქართველოს ბედს“.

მოსკოვს პრაქტიკულად შეუძლია იზეიმოს გამარჯვება – ყოველ შემთხვევაში ნატოში საქართველოს შესვლის საკითხში მაინც. მოსკოვი, შეიძლება ეჭვიც არ გრმა მხარდაჭერა ჯორჯ ბუშის ეპოქის შეერთებული შტატებიდან: ახალმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ არც კი შეგვეპაროს, ფსონს ჩადის თბილისის გატანჯული რეჟიმის ახალ გადახრებზე, რათა მოახდინოს ქართული კანდიდატურის დისკრედიტაცია. შეიძლება ვიდავოთ, რომ ეს ასეც მოხდება, თუ პროტესტები თბილისში ძალას მოიკრებენ.

სააკაშვილს ბრალს სდებენ არა იმაში, რომ მან წააგო ომი, არამედ იმაში, რომ პირველმა გაისროლა. შეიძლება, ომი ორ ქვეყანას შორის გარდაუვალი იყო, მაგრამ ვილაცას ხომ უნდა დაეწყო იგი, ეკისრა ბორტმოქმედის როლი. არსებითად სააკაშვილი თავად არის დამნაშავე შექმნილ სიტუაციაში: „ვარდების რევოლუციის“ შედეგად ხელისუფლებაში მოსვლიდანვე მან მთავარ პრიორიტეტად აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საქართველოს საზღვრებში დაბრუნება, რაზეც ქართველებმა უკვე ჯვარიც კი დაუსვეს.

არავინ იცის, იქნება თუ არა ეს ომი მიხეილ სააკაშვილისთვის უკანასკნელი, მაგრამ გაჩაღებული პოლემიკა სავსებით შეიძლება გადაიზარდოს მის მთავარ ბრძოლად.

რენე ბოდენი

leSoleil

თვალსაზრისი

(მეოთხე გვერდიდან)

თანაც, იმ ახალ გელადს აუცილებლად ეცოდინება უცხო ენები და ნაჯახის გარდა, აუცილებლად იქნება შეიარაღებული იმ ლოზუნგებით, რომლებმაც თავის დროზე ხელისუფლებაში სააკაშვილი და მისი „ჩემი გუნდი“ მიიყვანა.

ცოტა გასაკვირი კია, მაგრამ... ამ წუთის დადგომისთვის ყველაზე მეტად სწორედ „ჩემი გუნდი“ ცდილობს. ამის დასტურია ე. წ. „სახელისუფლებო სახეების“ (დარჩიაშვილი, ბაქრაძე, ტყეშელაშვილი, გოკერია, მალაშხია, თაძთაქიშვილი, მინაშვილი, ჩოლოყაშვილი...ძ აშკარად ყავლგასული განცხადებები, გაურკვეველი წარმოშობის „მარგიელი ჯგუფების“ მოქმედებები, სახელისუფლებო სატელევიზიო არხების, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის უნიჭო და სამარცხვინო ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები, თვით პრეზიდენტ სააკაშვილის რეალობისადმი აშკარად არაადეკვატურ დამოკიდებულებაზე მიმანიშნებელი ნაბიჯები (რესტორნები, სატელევიზიო გამოსვლები, ვოიაჟებიძ, ბაჩო ახალაიას სასაცილო და ძალიან საშიში „საჰაერო-სადესანტო ოპერაცია“ ოპერაცია ვაზიანის სამხედრო აეროპორტში და ა. შ.

სწორედ ამ ფონზე ისმის საუბარი (უფრო სწორად, ტრაბახიძ ქართველების გაუგონარ პოლიტიკურ სიმწიფესა თუ კულტურაზე. ამის არგუმენტად დაპირისპირებული მხარეებიც და უცხოელი დამკვირვებლებიც თბილისელი მომიტინგეების მშვიდობისმოყვარეობას იშველიებენ – ათეულ ათასობით ადამიანი დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩაში ისე ჩაიგრიალებს, ჭიანჭველასაც ფეხს არ ადგამსო.

მართლაც ასეა. გულწრფელად რომ ვთქვათ, თანამედროვე, ყოვლად ლიბერალ-დემოკრატიული ქვეყნების ისტორიიდანაც კი არ მახსენდება მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგი, რომელიც, თუნდაც, მცირე შეხლა-შემოხლით, ვიტრინების მტვრევით და პოლიციის სპეციალური ავტომანქანების რბევით არ დამთავრებულიყოს.

გამოდის, რომ ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები, ამერიკელები, ჩეხები, ხორვატები, ლიტველები, გერძნები... უკულტურეები ყოფილან, ქართველები – არნახული პოლიტიკური კულტურის მქონენი!

ძალიან მესიამოვნებოდა, საკუთარ ტრადიციებს ბრიტანელებზე მეტად რომ ვუფრთხილდებოდეთ, მაგრამ ასე არ უნდა იყოს – თანამედროვეობის გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე გიგი უგულავა მომიტინგეების (ასი ათასი კაცის!ძ მიერ მოტანილი ნაგვის გატანაზე უარს ამბობს, არც ბიოტუალეტების დადგმას ჩქარობს! ცენტრალური უბნებიდან მოშორებით პოლიტიკური ოპონენტების მომხრეებს „მაგარი პრეზიდენტის“ მომხრე „მაგარი ბიჭები“ თავპირს ამტვრევენ და შეურაცხყოფას აყენებენ... ასი ათასობით განრისხებული ადამიანი კი ჭიანჭველას ფეხს არ ადგამს.

დიახ, ჩუმ-ჩუმად ვბაძიობთ, რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო, მაგრამ სინამდვილეში არც ფრანგებზე უკეთესები ვართ და არც გერძნებზე. გულზე რომ ხელი დავიდოთ, საშუალო შეგნების აფრიკული წარმოშობის ევროპელს კულტურულობაში სულ ორიოდ ნაბიჯით თუ ჩამოვრჩებით, მეტით არა.

ჩემი შეტყობით, ჩვენი მოპროტესტეების სიმშვიდე (მათ შორის, ჩემი და ჩემი ოჯახის წევრებისაც! ჩვენივე უაღრესი კულტურულობისგან კი არა, ჩვენი ხელისუფლებისადმი შიშისგან უნდა მომდინარეობდეს. ხომ გევრჯერ დავრწმუნდით, რომ „ჩემი გუნდი“ არ იცავს ჩვენი ხალხის სიმშვიდეს და უსაფრთხოებას. ყველაფერი პირიქითაა – საქართველოს ხალხს ეშინია საქართველოს ხელისუფლებისა. გაიხსენეთ გივი თარგამაძის, გიგა ბოკერიას, მიშა სააკაშვილის განცხადებები და მერე ის მოქმედებები, რაც მათ (და სხვათაძ წინასწარ განცხადებებს მოჰყვა. არ ვგულისხმობ მაინცდამაინც ხელკეტებს, რეზინის ტყვიებს, გგერით იარაღს, წყლის ჭავლს თუ მომწამლავ გაზებს. ვგულისხმობ უზარმაზარ მორალურ შეურაცხყოფას, რასაც საქართველოს მოქალაქეებმა საკადრისი პასუხი ვერ გასცეს.

ისიც კარგად ვიცით, რომ ხელისუფლება კატეგორიულად გაურბის პასუხისმგებლობას თავის ნებისმიერ ნამოქმედარზე – რიტუალურ მსხვერპლშეწირვაზე, ტერიტორიების დაკარგვაზე, სამხედრო პოტენციალის განადგურებაზე, ათიათასობით ლტოლვილზე, საგარეო პოლიტიკის კრახზე, სასამართლო სისტემის გამასხარავებაზე – დარწმუნებული ვართ, რომ ვიტრინების ჩამტვრევაზე ან პოლიციის მანქანის გადაბრუნებაზე უსასტიკესი პასუხისმგებლობა დაეკისრება არა იმას, ვისაც ჩვენს უსაფრთხოებაზე უნდა ეზრუნა, არამედ ვინმე „შეიარაღებულ ტერორისტს“ მალხაზ გველუკაშვილის არარსებული უკანონო სამხედრო შენაერთიდან.

ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს, ჩვენი ხელისუფლების, ზოგადად, კანონიერების იმედი რომ გვქონოდა, მერწმუნეთ, ეს ხელისუფლება კი ხანია ალარ იარსებებდა. გაუთავებელი შეგონებები სიმშვიდესა და სადღაც მიმალულ პროვოკაციაზე სწორედ იმის გამო ისმის, რომ ხვალ ის პროვოკაცია სცენაზე გამოვიდეს და ამ მოჩვენებითი სიმშვიდეს ბოლო მოუღოს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ხელისუფლებამ უკან დასახევი გზა არ დაიტოვა, შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური კრიზისიდან თავის დასაღწევად „დიალოგი“ მხოლოდ სიტყვის მასალად და უფრო ეფექტურ გადაწყვეტილებამდე დროის მოსაგებად თუ გამოდგება. შექმნილ ვითარებაში რაიმე სახის პროვოკაცია ხელისუფლებისთვის ერთადერთი ხსნა იქნებოდა. თუ იგი დღემდე არ დაიგეგმა, მხოლოდ იმის გამო, რომ ამისთვის ვითარება ჯერ არ მომწიფებულა: როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არსებობს შანსი, ოპოზიციის სახელით მოლაპარაკებები გაიმართოს ჯონდი გალათურიასთან, გია ცაგარეიშვილთან, გია თორთლაძესთან, ამერიკიდან ახალი იდეებით ჩამოსულ გიორგი თარგამაძესთან, ან ვინმე სხვასთან, ვისაც თვითონ ხელისუფლება დაარქმევს „ოპოზიციას“.

როგორც მოგახსენეთ, თავის მხრივ, უკან დასახევი გზა ოპოზიციასაც არა აქვს – შეურაცხყოფილი და განრისხებული „ქუჩა“ ამას არ დაუშვებს. ვფიქრობ, პრეზიდენტის გადადგომის თაობაზე ულტიმატუმის წამოყენება მას ცოტა ნაადრევად მოუვიდა. ისევე, როგორც მასობრივი საპროტესტო აქციების წამოწყება.

ხელისუფლებამ ისიც კარგად იცის, რომ „ქუჩის“ მოქმედებების ძალადობრივი აღკვეთის უმცირესმა მცდელობამაც კი, შესაძლოა, ზღვა სისხლი და ძალაუფლების დაკარგვა მოიტანოს. ამიტომ, ჯერჯერობით ფრთხილობს და შესაფერ დროს ელოდება.

„დიალოგის“ აბსურდულობა ორივე მხარეს შესანიშნავად ესმის – იგი ორივეს საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის თვალში ნაცრის შესაყრელად სჭირდება.

უკიდურესად დაძაბულ ვითარებას ისიც ამწვავებს, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს დიდხანს ერთ ადგილას დგომა არ შეუძლია და არც ექსტრემალურ ვითარებაში ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების უნარი შესწევს. ვეჭვობ, მას რამეში იულონ გაგოშიძის, გოგა ხაჩიძის, ნიკა კვეზერელის ან თემურ იაკობაშვილის სიბრძნე გამოადგეს.

ერთ-ერთ იმედად მაინც ოკეანისგაღმელი „მეგობრები“ რჩებიან, ოღონდ, როგორც წესი, ისინი გზის მაჩვენებლებად მაშინ გამოჩნდებიან ხოლმე, როცა ურემი უკვე გადაბრუნებულია.

ხვალე ის დღეა, როცა აზრს კარგავს საუბარი ქართველი ხალხის ბრძნობაზე, როცა ბრძენთა და უგუნურთა, მაძღართა და მშიერთა, მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა, ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ბედი ბეწვზე ჰკიდია.

ნეტავ, ხვალ შინ იყოს ის კეთილი უცნობი ძია, ვინც ჩვენს ნაცვლად ჩვენი ბედი უნდა გადაწყვიტოს.

თეიმურაზ ქორიძე

იდუმალი ხვალე

შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს კონკურსს ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს ადმინისტრაციული შენობის 49.73კვ.მ ფართში, სასადილოს მოწყობის მიზნით დროებით სარგებლობაში, ივჯარის ფორმით გაცემის შესახებ

1.ძირითადი საინფორმაციო მონაცემები

- **საივჯარო ძონეების მისამართი –** ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს ადმინისტრაციული შენობა
- **ივჯარითგასაცემი ფართი - 49.73 კვ.მ**
- **საწყისი საივჯარო ქირა თვეში - 30 ლარი (დღგს-გარეშეძ**
- **„ბე“ – 30 ლარი**
- **ივჯარის ვადა - 3 წელი**

- **განაცხადების მიღების ადგილი - ძ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „ საქართველოს რკინიგზის„ ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული**

ტელ: 56-33-48; 56-65-10.

- **განაცხადების მიღების ვადა** - 2009 წლის 15 აპრილიდან 2009 წლის 28 აპრილის ჩათვლით. 10 საათიდან 17 საათამდე.
- **კონკურსის ჩატარების ადგილი და დრო** – მონაწილის წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი, 2009 წლის 29 აპრილი ძ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციულ შენობაში 14:00 საათზე.
- **შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები** – „ბანკი რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, ა/ა№3407003205, ბანკის კოდი №220101757, საიდენტიფიკაციო კოდი №202886010.
- **კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ** – საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

2. კონკურსის პირობები

2. 1. მოიჯარის მიერ საივჯარო ქირის ყოველთვიურად გადახდა.

2. 2. მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს, ივჯარით აღებული ქონების მოვლა-პატრონობა, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების და სანიტარული ნორმების დაცვა.

2. 3. ივჯარით აღებულ ფართზე, კომუნალური გადასახადებსა და დაცვის ხარჯებს იხდის მოიჯარე;

2. 4. ხელშეკრულების მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 7 ივნისის №1-1/875 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების გალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ„ დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა;

2. 5. შპს „საქართველოს რკინიგზის“ დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, რომ საწარმოს, საკუთარი მიზნებისათვის ესაჭიროება საივჯარო ფართი, მოიჯარე ვალდებულია გაფრთხილებიდან 1 თვის ვადაში გაანთავისუფლოს აღნიშნული ფართი.

3. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები

3. 1. საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმია: საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური საწყისი საივჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საივჯარო ქირას.

4. ივჯარის ხელშეკრულების დადება

4. 1. კონკურსის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში, გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ გაფორმოს ივჯარის ხელშეკრულება.

4. 2. მოიჯარე ვალდებულია, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შპს „საქართველოს რკინიგზას“ წარუდგინოს ანგარიში, ივჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

4. 3. სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე ილებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად. ამასთან, თუ მოიჯარე დაარღვევს საივჯარო ქირის გადახდის ვადებს იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით (ჯარიმა მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშეძ.

4. 4. თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში მოიჯარე არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე, შპს „საქართველოს რკინიგზას“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს ივჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე კარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები

5. 1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საივჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.

5. 2. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ. წინადადებები საივჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის (მითითებითძ სახით. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადებები არ განიხილებაძ.

5. 3. **„ბეს“ გადახდის ძვითარი –** „ბე“ გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით.

5. 4. კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

5. 5. იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ, სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

5. 6. კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

5. 7. კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას. ამასთან, მონაწილეთა წინადადებებს საკონკურსო კომისია იხილავს მათი დასწრების გარეშე.

5. 8. გადაწყვეტილება, კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. 9. კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

6. შენიშვნები და დათქმები

6. 1. მოიჯარეს გადახდილი „ბე„ ჩაეთვლება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო თვის ანგარიშსწორებისას.

6. 2. დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული საკონკურსო განაცხადი არ მიიღება.

6. 3. განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.

6. 4. თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის, იმავე საათზე.

6. 5. მეივჯარეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს შეუფერხებლად დაათვალიეროს ივჯარით გაცემული ქონება, მათ შორის შეამოწმოს მოიჯარის მიერ ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობა.

საივჯარო ქონებაზე დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“

ტელ.: 56-33-48, 56-65-10

◎ სამთო თხილამურები

ისევ კვარცხლბეკზე

წლევანდელ სეზონში შესანიშნავად ასპარეზობს ბაკურიანელი სამთო მოთხილამურე იასონ აბრამაშვილი, რომელმაც ამას წინათ მეექვსე ტურნირი მოიგო. ამჯერად საფრანგეთის კურორტ ვალ ტორენში მონაწილეთა შორის იგი რეიტინგით მეცხრე იყო,

მაგრამ სლალომისტთა ტურნირის ორი ცდის ჯამში პირველი ადგილი დაიკავა. მეორე-მესამე ადგილები მასპინძლებს – გენჟამენ გარდეს და რომენ ემპტაზს ხვდათ. 17 წლის კოტე ვახტანგიშვილი მეშვიდე ადგილზე გავიდა. ვახტანგ თედიაშვილსა და ალექსი გენიანიძეს კი ხელი მოეცარათ.

◎ სამგო

უხვი ნადავლით

ლიტვის ქალაქ შიაულიაიში დამთავრდა ჭაგუკ და ახალგაზრდა სამგისტთა ევროპის პირველობა, რომელშიც საქართველოს მოჭიდავეებმა 14 მედალი მოიპოვეს. 1989-1990 წლებში დაბადებულთა შორის ჩემპიონები გახდნენ გორელი ნოდარ კუდუხაშვილი (82 კგძ და ქუთაისელი ლაშა გურული (90ძ. მეორე ადგილებზე გავიდნენ ფოთელი ვაჟა ლატარია (52ძ და თბილისელი ლევან ნახუცრიშვილი (68ძ, ხოლო კასპელი გიორგი გეჯაძე (48ძ, ფოთელი გეძა გუცხრიკიძე (58ძ, გორელი გიორგი გოლოთაშვილი (100ძ და ქუთაისელი დავით გოჭორიშვილი (მძიმე წონაძ გრინჯაოს მედლებით დაკმაყოფილდნენ.

1991-1992 წლებში დაბადებულთა შორის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა გარდაბელი არჩილ შინჯიკაშვილი (87ძ, მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო გორელმა გოჩა ვარძელაშვილმა (60ძ, ფოთელ გივი ნადირაშვილს (48ძ, ქუთაისელ გენადი ჩირგაძეს (52ძ, გორელ ზვიად კაპანაძეს (75ძ და საგარეჯოელ იაგო მესტვირიშვილს (81ძ კი მესამე ადგილები ხვდათ.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა, ჭაბუკებს მესამე ადგილი ერგოთ.

◎ მწვრთნელი

ქეცბაია კვიპროსს ტოვებს

დიახ, ცნობილი გახდა, რომ კვიპროსული „ანორთოსისის“ მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ თანამდებობა (და გუნდიცძ დატოვა, არადა, ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაზე ამ გუნდმა ქართველი მწვრთნელის თავკაცობით ნამდვილად გააოცა ფეხბურთის სპეციალისტებიც და გულშემატკივრებიც.

გუნდიდან წასვლის წინ 40 წლის ქართველმა მწვრთნელმა შენიშნა, რომ ამ ნაბიჯზე „დიდხანს ფიქროდა“. და რომ ასეთი

გადაწყვეტილება მან „კლუბის ინტერესების მაქსიმალური უზრუნველყოფისთვის“ მიიღო.

მართალია, კლუბის ხელმძღვანელობას არ უნდოდა ქეცბაიას გადადგომის დაკმაყოფილება, მაგრამ ქართველმა მწვრთნელმა გადაწყვეტილება არ შეცვალა.

კლუბის ხელმძღვანელობას ქეცბაიას მუშაობა „გუნდის ისტორიის ნათელ ფურცლებად“ მიაჩნია.

◎ ადამიანი დროში

პლეხანოვიდან – დიუსელდორფამდე

დემიკო ლოლაძეს მეტი რომ არაფერი გაეკეთებინა, ქართული საზოგადოებრიობისგან მარადიულ პატივისცემას მხოლოდ დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“ გადალეგული ისტორიული ფოტოებისთვისაც იმსახურებს, შთამომავლობას თბილისის „დინამოს“ 1981 წლის 13 მაისის ევროპული ტრიუმფის ამსახველი კადრები რომ შემოუნახა. ნეტავ მაშინ ციფრული აპარატი მქონოდაო, – გამიგონია მისგან.

რატომღაც მეგონა, რომ სწორედ მაშინ გაიტაცა ფოტოხელოვნებამ, მაგრამ თურმე ვცდებოდი. ეს 1965 წელს მოხდა, როცა დისწულის დაბადება „სმენათი“ ჩაჩხაკუნებით აღვნიშნე, – მითხრა ერთხელ.

ძირძველი პლეხანოველი სინანულით ამბობს – სადღაა ის ძველი პლეხანოველობაო და დღევანდელ აბოგოქრებულ დროში აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით გამოირჩევა. 9 აპრილიდან მოყოლებული, დარსა თუ ავდარში, რუსთაველზე შეხვდებით განუყოფელი ფოტოაპარატითხელში. არც იმ თანამემამულეთა გაკრიტიკებას ერიდება, მიტინგებს ტელევიზორებთან მხართეძოზე წამოწოლილნი რომ ადევნებენ თვალს და კვანძის გახსნისთანავე რომ გაერევიან ხალხში სხვათა მოპოვებულის მისათვისებლად. დავიჯერო, დიდ პრობლემას წარმოადგენს თანამოქალაქეებისადმი რაიმე ფორმით თანადგომის გამოხატვა? – კითხულობს გულისტკივილით. ასევე მიაჩნია მისი ოჯახის თითოეულ წევრსაც, მათ შორის დედას – ქალბატონ თინას.

„ვარდოსნებისადმი“ უკომპრომისო დამოკიდებულების გამოსახატავად ის ფაქტიც კმარა, რომ განათლების სისტემაში 30-წლიანი მოღვაწეობისთვის ამაგი ოპტიმიზაციის საბაბით სახლში გაშვებით გადაუხადეს, თუმცა გული როდი გაიტახა – ამჟამად მის მთავარ საზრუნავს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმეებზე ზრუნვა წარმოადგენს. დასტურად დედაქალაქში რევაზ ლაღიძის ქეგლის დასადგმელად დაულალავი გარჯა გამოდგება. მართალია, ავტორის – თბილისის საპატიო მოქალაქის, აკადემიკოს მერაბ მერაბიშვილის ქმნილების მაკეტი კულტურის სამინისტროს საექსპერტო კომისიამ 7 წლის წინათ დაამტკიცა, მაგრამ ამ მამულიშვილური ჩანაფიქრის განხორციელებას ჯერაც არ დაადგა საშველი.

როცა აქტუალური საკითხების გადასაჭრელად გატონი დემიკოს მუხლჩაუხრელ მცდელობაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთის ფაქტი, რომ სწორედ მისი დიდი ძალისხმევით მიენიჭა ვაკის „ლოკომოტივის“ სტადიონს ლეგენდარული ფეხბურთელის მიხეილ მესხის სახელი. სხვათა შორის, „მტკვრისპირელ გარინჩას“ ეძღვნება ჩვენი წერილის გმირის უკვე სტამბაში ჩაშვებული, რიგით 33-ე წიგნი. რაც შეეხება აქამდე გამოცემულებს, მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ: „შოთა იამანიძე“, „ვლადიმერ გარქაია“, „სლავა მეტრეველი“, „მურთაზ ხურცილავა“, „ვიტალი დარასელია“, „ნოდარ ახალკაცი“, „დავით ყიფიანი“...

ალბათ, დაგაინტერესებთ, როგორ ახერხებს იგი ჩვენს დუხჭირ ცხოვრებაში ასე ნაყოფიერად მოღვაწეობას. დასამალი არაფერი აქვს – ჯერ სახელმწიფო ეხმარებოდა, ხოლო შემდეგ ის კეთილი ადამიანები, რომელთა მიმართ მადლიერებასაც გამოხატავდა და გამოხატავს: ოთარ ეგაძე, რამაზ კანდელაკი, რევაზ ლლონტი, გიორგი შალამბერიძე, ნოდარ ძოწენიძე, ვახტანგ მენთეშაშვილი, გურამ ფანჯიკიძე, ავთანდილ წერეთელი, ოთარ ჭითანავა, გია რამიშვილი, ალექსანდრე კობაიძე, ილია რუხაძე და, განსაკუთრებით, რამაზ ხუროძე, რომლის სახელსაც უკავშირდება დემიკო ლოლაძის ყველაზე ბარაქიანი შემოქმედებითი პერიოდი. იგი უდიდესი პატივისცემით იხსენიებს თბილისის ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელმძღვანელს, უკეთილშობილეს ქალბატონს ციალა კალმახელიძესაც, რომელმაც უანგაროდ გაუმართა ხელი და გარკვეული პერიოდის სამყოფი საარსებო საშუალება მისცა.



ლეძსპრომტი ჩემს ძვირფას დემიკო ლოლაძეს

უხვად გასცემ სიკეთეს,
სხვისგან მისხალს არ ელი.
ქალაქელი კაცი ხარ,
გულით გასახარელი.
შენ სულსავსე სიკეთით,
დახვალ, თბილისს უხდები.
სხვისი კარგით ხალისობ,
სხვისი სევდით სწუხდები.
რამდენ სახეს აცოცხლებ,
რამდენ სახელს ინახავ
და დემიკო ლოლაძე
დიდი საძმოს ბინა ხარ.

თემურ ჩალაბაშვილი

როცა ჩვენი გაზეთის ძველ მეგობარზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა შევეხოთ იმ თემას, რომელიც მისთვის ცხოვრების წესს წარმოადგენს. ესაა მეგობრობა და ის მეგობრები, რომლებიც, გავშვობიდან მოყოლებული, უხვად ჰყავს სპორტულ, კულტურულ, სამეცნიერო და სამედიცინო სამყაროში. ამ ქვეყნებიდან წასული თითოეული მეგობარი ჩემი გულის მუშუშებელი იარაა, – ესეც გატონი დემიკოს სიტყვებია.

რადგან ზემოთ გავშვობა ვახსენეთ, ერთ საიდუმლოსაც გაგანდობთ, იმ წლებს რომ უკავშირდება: თურმე, სახელგანთქმული 35-ე საფეხბურთო სკოლაში ნიაზ ძიაპშასთან ვარჯიშობდა, მაგრამ როცა ორ ფრონტზე მებრძოლს არჩევანის გაკეთება მოუწია, მუსიკისკენ გადაიხარა, რასაც დღემდე განიცდის. სპორტის საყვარელი სახეობისადმი მაშინდელი „ღალატის“ გამოსყიდვას ტყავის ბურთის დიდოსტატებისადმი მიძღვნილი წიგნების გამოცემით ცდილობო, – ღიმილით მითხრა ამას წინათ, როცა 65-ე დაბადების დღე მივულოცე.

ცდილობს და მერე როგორ!

გია პლატონიშვილი

სურათზე: ვლადიმერ უგრეხელიძესთან ერთად.

◎ ინტერნეტიდან

კრიზისმა ვერ დააზიანა

როგორც ჟურნალის Forbes მკვლევარები ამბობენ, ფეხბურთი ერთ-ერთი ინდუსტრიაა, რომელსაც თითქმის არ შეეხო გლობალური კრიზისი. მათი მტკიცებით, მსოფლიოს 25 წამყვანი ფეხბურთის კლუბი ამჟამად საშუალოდ 597 მილიონი დოლარი ღირს, ხოლო ხუთი ტოპ-გუნდი – 1 მილიარდ დოლარზე მეტი.

განსაკუთრებით დიდ შემოსავალს ღებულობენ ევროპული გუნდები მატჩების ტელეტრანსლაციით. ამ სიაში ლიდერობს ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომელიც შეფასებულია 1,87 მილიარდ დოლარად. ჟურნალის მონაცემებით, ამ კლუბის საოპერაციო მოგება 160 მილიონი დოლარია, ხოლო კლუბის სტადიონმა „ოლდ ტრაფორდმა“ გასულ სეზონში გილეთების გაყიდვითა და არენდით 200 მილიონი დოლარზე მეტი გამოიმუშავა.

ამ თავისებურ ჰიტ-პარადში მეორე ადგილზეა მადრიდის „რეალი“ – 1,35 მილიარდი დოლარი, მესამეზე – „არსენალი“ – 1,2 მილიარდი

დოლარი, შემდეგ მოდიან „ბავარია“ – 1,11 მილიარდი და „ლივერპული“ – 1 მილიარდი დოლარი.

მსოფლიო საფინანსო კრიზისმა ნეგატიურად იმოქმედა სპორტის ზოგიერთი სახეობის სპონსორებზე.

მერე რა, რომ აკრძალულია



ამ დღეებში რომაელები „თავისებური სასწაულის“ მოწმენი გახდნენ – ძალაძის ცენტრში ცნობილ შადრევან ტრევიში განაოგდა პეკინის ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, გერმანელი მოცურავე ძალი ბრიტა შტეფენი. იქ განაოგა კი სასტიკად აკრძალულია.

გერმანელმა მოცურავემ ძველი ოცნების ასასრულებლად ნებართვისთვის რომის პოლიციას მიმართა, იქ კი, იცნეს რა გერმანელი ლამაზმანი, ნებართვაც მისცეს და შადრევნამდეც მიაცილეს.

სამშობლოსა და ლამაზმანთან ახლოს

არგენტინელმა თავდამსხმელმა მაძსი ლოპესმა, „მოსკვაში“ რომ თამაშობდა, ახლა ბრაზილიულ „ბრემოში“ ლიბერტადორესის თასზე მატჩში თავი ისახელა. მაძსი იქ არენდით იმყოფება, რადგან ძალიან უნდოდა, რაც შეიძლება, ახლოს ყოფილიყო სამშობლოსა და საყვარელ მოდელ ვანდა ნარუსთან. როგორც ამბობენ, სწორედ ამის გამო დატოვა მან რუსეთი.

ლოპესი „ბრემიოს“ ძირითად შემადგენლობაში გამოვიდა ბოლივიურ „ავრორასთან“ მატჩში და 64-ე წუთზე თავიც გამოიჩინა. მარჯვენა ფლანგიდან ჩამოწოდებული ბურთი მან რვა მეტრიდან მალალ ნახტომში თავით გააგზავნა შორეულ „ცხრიანში“. ეს იყო „ბრემიოს“ მეორე გოლი, მატჩი კი მის სასარგებლოდ – 3:0 – დამთავრდა.

„პირველსავე მატჩში ლიბერტადორესის თასზე თავის გამოჩენა დიდი გედნიერებაა, – განაცხადა მატჩის შემდეგ ლოპესმა, – ვგრძნობდი, რომ მშვენიერ ფორმაში ვიყავი და ჩემი საძმეც გავაკეთე – გოლი გავიტანე“.

არგენტინელმა შვილის შეძენის შემდეგ გადაწყვიტა სამშობლოსა და ცოლ-შვილთან ახლოს ყოფნა, ამიტომაც ძალზე აწყობდა „ბრემიოში“ თამაში.

◎ გამოიცა

უნივერსალური წიგნი – ინტელექტუალურ სამყაროს

ამ წერილს რეცენზიის პრეტენზია არა აქვს ... უფრო მეტიც, წიგნი იმდენად მრავალმხრივია, ვგონებ, არც შეიძლება მასზე მშრალი სამეცნიერო რეცენზიის დაწერა ...

აკადემიკოს **როინ მეტრეველი**ს მრავალი წლის სამეცნიერო და პედაგოგიური ცოდნა, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობის გამოცდილება ერთად შეუკრავს და ჩვენთვის მოუწოდებია ... მრავალრიცხოვანი მკითხველის გასაცნობად შეუქმნია. ფუნდამენტური შრომების და სქელტანიანი წიგნების ავტორს, ხელის გულზე დასატევი – მოცულობით მცირე ზომის წიგნი გამოუცია. წიგნი შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში – „CA &CC Press“ გამომცემლობაშია დასტამბული. იგი რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა. ჩვენ ხელთ გვაქვს რუსული გამოცემა: „კავკასიური ცივილიზაცია გლობალიზაციის კონტექსტში“ ავტორი დაგეჯითებით აღნიშნავს: „დღეს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება ცივილიზებულ სამყაროში არ არის სრული და სრულყოფილი უკავკასიოდ“ (გვ. 6ძ.

შვედეთში გამოცემულ ამ წიგნს მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს, კავკასიონის იმიერეთსა და ამიერეთში მცხოვრებმა ხალხმა გაიცნონ კავკასიის მრავალეროვან ხალხთა ისტორია, ეთნოგრაფია, გეოგრაფია, ისტორიოგრაფია, ლიტერატურა, სოციალური თუ პოლიტიკური ცხოვრება, მატერიალური და სულიერი კულტურის ნიმუშები...

შუა საუკუნეების ისტორიის, დავით ალმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქების ცნობილი მკვლევარის როინ მეტრეველის წინამდებარე წიგნში გადმოცემულია კავკასიური ცივილიზაციის ძირითადი მაჩვენებლები; გაანალიზებულია ქართველ, რუს, აზერბაიჯანელ, სომეხ, ჩრდილო კავკასიელ ისტორიკოსთა შრომები; წარმოჩენილია კავკასიის როლი და ადგილი მსოფლიო ცივილიზაციაში; ნაჩვენებია რეგიონის აბეჭამინდელი მნიშვნელობა.



როინ მეტრეველი საუბრობს მშვიდობიანი კავკასიის პრობლემებზე, თანაც ყურადღებას ამახვილებს გლობალიზაციურ პროცესებზე, რაც ინტენსიურად მიმდინარეობს მთელ მსოფლიოში.

პოლიტიკური სიტუაცია წარსულშიც გევრჯერ რთულდებოდა, მაგრამ კულტურული სივრცე იყო ურთიერთდაკავშირებული, კომპლემენტარული და, შესაბამისად – ხალხთა მენტალიტეტს ჰქონდა გევრი საერთო ხასიათი... ამ საკმაოდ რთულ და მეტად საინტერესო რეგიონს ევრაზიულ სივრცეში უკავია თავისი თვითმყოფადი ადგილი. ამიტომ ჩვენს წინაშე – მეცნიერებისა და პოლიტიკოსების წინაშე – დგას მეტად რთული ამოცანა: არ დავუშვათ კავკასიური ცივილიზაციის უნიფიკაცია გლობალიზაციის პროცესში...

„გლობალიზაცია არ არის საშიში კულტურისთვის“ – იუნესკოს ეს თეზისი უნდა გავამართლოთ ჩვენ (საზოგადოებამ, სახელმწიფომ, – **რ.მ.**ძ, ინტეგრაციულ-გლობალიზაციური პროცესები უნდა წარვმართოთ ჩვენი კულტურული მიღწევების გადარჩენისა და მისი მსოფლიო კულტურის საგანძურში შეტანის ნიშნით“ (გვ.107ძ.

წიგნი კავკასიის, როგორც ერთიანი რეგიონის, წარმოჩენის პათოსითაა დაწერილი.

იგი დააფიქრებს და განაწყობს კავკასიის მცხოვრებთ ახალი კავშირებისა და ურთიერთოგების კეთილმეზობლური გზების ძიებისათვის.

„უნივერსალური წიგნი – ინტელექტუალურ სამყაროს“ სათაურად რომ ავირჩიეთ, ამით მკითხველს მივანიშნებთ, რომ რუსულ ენაზე დაბეჭდილ წიგნს უამრავი მკითხველი ეყოლება და მოცემულ მასალას ინტერესით გაეცნობა.

ოთარ მიმინოშვილი

◎ კრიმინალი

უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილი მოსახლეობის ნაწილი სულის მოთქმის მიზნით აგირავებს სახლს, იღებს პროცენტიან ვალს და ა. შ., მაგრამ ამ საძმეშიც გამოჩნდნენ სხვის უბედურებაზე ხელის მომთმობნი. დღეს საინფორმაციო საშუალებებში გახშირდა განცხადებები, რომ ვიღაც იძლევა სესხს (პროცენტითძ, სამაგიეროდ კი ითხოვს მყარ გარანტიას. ძალიან ხშირად მყარ გარანტიად ფულის მსესხებელს გამსესხებელი გაცემულ თანხაზე რამდენჯერმე მეტი ღირებულების უძრავ ქონებას ადებინებს, გოლოს კი ისე აღმოჩნდება, რომ გარანტიად ჩადებული სხვადასხვა ნივთი, მიზერულ ფასად გამსესხებლის ხელში აღმოჩნდება.

აფეთრის ახალი სახეობა

იურიდიული კანონების არცოდნის მწარე შედეგები

7 ათასი დოლარის სესხება ირემაშვილების ოჯახმა საუუამავლო ფირმის მეშვეობით მოახერხა. მის განცხადებას სასწრაფოდ გამოეხმაურნენ ფირმის წარმომადგენლები – დოდო კვერნაძე და ნანა აბესაძე. მათ სასწრაფოდ მოუძებნეს ირემაშვილებს დასასახელებული თანხის გამსესხებლები. კარინა გაკლანიანმა, რუსუდან ჩხაიძემ და მერი ვარამიშვილმა მსესხებელს თანხა უმალ მიართვეს, იმ პიროობით რომ თვეში გარკვეულ პროცენტებს მიიღებდნენ. „მყარ გარანტიად“ კი ირემაშვილებს ბინა ჩაადებინეს.

როგორც ირკვევა, ნოტარიუსმა მარინა კუჭუხიძემ არ განუმარტა ირემაშვილებს ხელშეკრულების შესახებ, რომლის მიხედვითაც სადავო სიტუაციაში გამსესხებლებს უფლება ეძლიოდათ მეორე მხარისთვის სასამართლოში ეჩივლათ. მოკლედ, ირემაშვილებს საძმეში ჩაუხედავად კაბალურ ხელშეკრულებაზე მოაწერინეს ხელი. რამდენიმე თვის განმავლობაში ფულის მსესხებლები ყველა ვადების დაცვით იხდიდნენ პროცენტებს. მაგრამ ერთხელაც დააგვიანდათ...

როგორც ჩანს, გამსესხებლები ამ მომენტს ელოდნენ და დაიწყეს ირემაშვილების ბინის გადაფორმებაზე ზრუნვა. მათი ბინის მესაკუთრეს გამოსახლების მოთხოვნით სასამართლოს მიმართეს. საძმე ვაკე-საბურთალოს სასამართლომ, შემდეგ კი საოლქომაც განიხილა. მოსამართლეებმა ირემაშვილები დაინდეს და არ გამოასახლეს. მაგრამ გამსესხებლების მონდომებით, საძმე ისევ სასამართლოს, ამჯერად დიდებულ-ჩულურეთისას გადაეცა. ვიდრე სასამართლო საბოლოო ვერდიქტს გამოიტანდა „სამეულმა“ მოახერხეს ირემაშვილების ბინის ჯერ საკუთარ სახელზე გაფორმება, შემდეგ კი გასხვისება. ბინის ხელახალი გადაფორმება მოხდა ფულის გამსესხებლებსა და ირემაშვილებს შორის ერთ-ერთი შუამავლის შვილზე.

ახალმა მფლობელმა უმალ მოითხოვა მისი ბინიდან გაკლანიანის, ჩხაიძისა და ვარამიშვილის გამოსახლება. სასამართლომ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. ირემაშვილების საკუთრება ისე გადადიოდა ხელიდან ხელში, რომ მფლობელებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. მათთვის არც წინასწარი გაფრთხილება მიუცია და არც ადგილზე განუმარტავთ რაიმე. ირემაშვილებმა თავს დამტყდარი უბედურების შესახებ, მხოლოდ მაშინ შეიტყვეს, როდესაც სასამართლო აღმასრულებლები მიადგნენ. კანონის დამცველებმა დაიწყეს მესაკუთრეთა ქონების ორ სატვირთო მანქანაზე დაყრა. ამ სიჩქარეში დაიმტვრა ავეჯი, ირემაშვილების განმარტებით დაიკარგა ძვირფასეულობა, ფული.

კანონის არმცოდნეებზე მონადირენი

როგორც იურისტები აცხადებენ, მსგავსი შემთხვევები ძვეყანაში საკმაოდ მომრავლდა. სესხების „მყარი გარანტიით“ გამცემლები პირდაპირ ნადირობენ იურისპრუდენციაში ჩაუხედავ ხალხზე. აწერინებენ ხელს ისეთ დოკუმენტებზე, რომლებიც მათთვის აშკარად წამგებიანი და კაბალურია. სამოქალაქო საქმეების სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ფულის გამსესხებლები საშუამავლო ფირმებთან ალიანსში არიან. ამ ჯგუფებს ჰყავთ თავიანთი ნდობით აღჭურვილი ნოტარიუსებიც. საქმეში ჩაუხედავი კაციც მიხვდება, გათამაშებულ ფარსს, მაგრამ იურიდიულად რაიმეს დამტკიცება შეუძლებელია. ყველა დოკუმენტი გამართულად არის შედგენილი.

მგავს საქმეებთან დაკავშირებით, კანონთან შეხების არ მქონე და იურისპრუდენციაში ჩაუხედავ პირებს, იურისტები ურჩევენ, ვიდრე მათ რაიმე ხელშეკრულებაზე მოაწერინებდნენ ხელს, აუცილებლად გააცნონ შედგენილი დოკუმენტი სპეციალისტს, წინააღმდეგ შემთხვევაში ფაქტის წინაშე დამდგარ ნებისმიერ ადვოკატს ძალიან გაუჭირდება სიმართლის გატანა!

ზაზა ბილიხოძე

შვილები პაატა, ზურაბ ნაცვლიშვილები, რძალი ნინო სხირტლაძე, შვილიშვილი თეონა ნაცვლიშვილი, და ანიკო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეთერ ივანეს ასული მეხაშიშვილი-ნაცვლიშვილი

პანაშვიდი 14, 15 IV, 17 სთ. გამოსვენება 16 IV, 14 სთ. ჟიული შარტავას (ყოფილი ანაგისძ ქუჩა № 41.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ცნობილ ჟურნალისტს, ჩვენს ერთგულ მეგობარს და ძველ ავტორს პაატა ნაცვლიშვილს გარდაეცვალა დედა

ეთერ ივანეს ასული მეხაშიშვილი-ნაცვლიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ყველა ახლობელს.

მამია სულაბერიძე, ირაკლი სურმავა, ნინო სულაბერიძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი მეზობლისა და მეგობრის

ელგუჯა ოტიაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის მეუღლეს მაყვალა ლეთოდიანს და შვილს ილიას.

◎ ინფორმაცია

თვითმკვლელობამდე მიიყვანეს

სოციალურად დაუცველმა გ. ძ-შვილმა უკიდურესი გაჭირვების გამო სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. თვითმკვლელობამდე გ. ძ-შვილმა საარსებო შემწეობის დანიშვნის და უფასო სამედიცინო დახმარებით სარგებლობის თხოვნით სოციალური მომახსურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებას არაერთხელ მიმართა, მაგრამ სააგენტომ მის ოჯახს დახმარება არ დაუნიშნა.

უფულობამ და სააგენტოს თანამშრომლების მხრიდან უხეშმა მოპყრობამ მისი ავადმყოფობა უკიდურესად გაამწვავა“, – განაცხადა გარდაცვლილის მეუღლემ მ. ი-შვილმა.

გაჭირვების გამო გ. ძ-შვილი ექიმთან მისვლას და მკურნალობას ვერ ახერხებდა. ოჯახის ახლობლების განცხადებით, აუტანელი ტკივილების გამო ის იძულებული გახდა თავი მოეკლა.

ჯი-ეიბ-ენი

◎ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

კითხვა: მეორე თვეა ვიმყოფები საავადმყოფო ფურცელზე – საავტომობილო კატასტროფის შემდეგ. ვფიქრობ, არასწორად მიხდიან ბიულეტენის თანხას. მინდა საკუთარი თვალით წავიკითხო და დავრწმუნდე, რომ ჩემი დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილება სწორია. გთხოვთ, მაცნობოთ, რომელი საკანონმდებლო აქტით რეგულირდება დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნა და გაცემა?

თეონა შერმადინი

პასუხი: „დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესი“ დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 15 თებერვლის №4816 ბრძანებით – „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის საფუძველზე და ძალაშია 2007 წლის 1 იანვრიდან.

* * *

კითხვა: როგორი წესით მოხდება დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ანაზღაურების ათვლა, როდესაც დასაქმებული ანაზღაურების გარეშე შვებულებაში ყოფნის დროს გახდა ავად?

ლერი ხუსკივაძე

პასუხი: მსგავს შემთხვევაში დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ანაზღაურება მოხდება იმ დღიდან, როცა დასაქმებული (მოსამსახურეძ უნდა შედგომოდა მუშაობას. თუ დროებითი შრომისუნარიანობა სამუშაოდან განთავისუფლებაზე დავის დროს დადგა, სამუშაოზე აღდგენის შემთხვევაში დროებითი შრომისუუნაროობის გამო დახმარების ანაზღაურების ათვლა დაიწყება სამსახურში აღდგენის დღიდან.

* * *

კითხვა: მოხდება თუ არა დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ანაზღაურება, როდესაც პიროვნება ხელშეკრულებით არის მიღებული სამუშაოზე?

მაია ესაძე

პასუხი: ვადიანი ხელშეკრულების შემთხვევაში დამსაქმებელი დროებითი შრომისუუნაროობის გამო დახმარებას ანაზღაურებს მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში.

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.

სს „საქწყალპროექტი“ იწვევს აქციონერებს საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2009 წლის 8 მაისს, 15 საათზე, ქ. თბილისში ი. ჭავჭავაძის გამზირი №60 „წყალეკოლოგიის“ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საადგილმამულო დარბაზში.

აქციონერთა აღრიცხვიანობის თარიღი 2009 წლის 16 აპრილი.

აქციონერებმა თან უნდა იქონიონ პირადობის მოწმობა რეგისტრაციაში გასატარებლად, ხოლო იურიდიული პირების წარმომადგენლებმა – მინდობილობა.

რეგისტრაციის დასაწყისი 14 საათსა და 30 წუთზე.

კრების დღის წესრიგი:

1. 2008 წლის სამეურნეო წლიური ანგარიში.

დავუბრუნოთ ბავშვები ოჯახებს!

ძვირფასო მკითხველო! გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

ერთჯერადი დახმარებისთვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

თუ გვსურს ქვეყნად სიყვარული დავნერგოთ, თუ გვსურს ზურგი შევაქციოთ ჩარჩობას, 30-30 დავრეკოთ, საწყალ ბავშვებს დავუბრუნოთ ბავშვობა.



ჯანსულ ჩარკვიანი — ფონდი „იავნანა“

◎ გვწერენ

სიცოცხლე შემინარჩუნეს

ამას წინათ გულის არეში გაუსაძლისი ტკივილი ვიგრძენი. „სასწრაფო დახმარების“ ექიმებმა ნადეჟდა უსანეთაშვილმა და ლევან ბაძრაძემ დროული პირველადი დახმარების შემდეგ ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ საუნივერსიტეტო კლინიკაში გადამიყვანეს. მწვავე ინფარქტი – ასეთი იყო ექიმების დასკვნა. სათანადო ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე სასწრაფო ოპერაცია გამიკეთეს. დასტაქრების აპაკი არჩვაძის, ვახტანგ ყიფიანის, გოჩა ვაშაყმაძის და თამარ სარიას მაღალი პროფესიონალიზმის წყალობით დღეს ცოცხალი ვარ და თავს კარგად ვგრძნობ. ასევე, არასდროს დამავიწყდება კლინიკის მედპერსონალის – მზია მაისურაძის და ნინო ღვედაშვილის ყურადღება და თბილი დამოკიდებულება. სამედიცინო მომსახურების ყველა ხარჯი სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაიმ“ (ნანა აშორდიაძ გაიღო.

დიდი მადლობა ყველას, ვინც სიცოცხლე შემინარჩუნა და გაჭირვების ჟამს გვერდით დამიდგა.

ტრისტან გეგენავა,
ფილოლოგი.

დიდი მადლობა უანგარო თანადგომისთვის!

პატივცემულო რედაქცია, გთხოვთ, მოგვცეთ იმის საშუალება, რომ თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა გადავუხადოთ საქველმოქმედო ფონდ „უნივერსს“ და საზოგადოებას ვაცნობოთ იმ კეთილ საქმეთა შესახებ, რასაც იგი დიდი რუდუნებით, უხმაუროდ აკეთებს ქალბატონ მარიამ მერაბიშვილის ხელმძღვანელობითა და თაოსნობით.

იგი უანგარო ეხმარება სილარიბის ზღვარზე მყოფ ჩვენი საზოგადოების ნაწილს, ურიგებს მას უცხოეთიდან მოლებულ ტანსაცმელს. „უნივერსის“ ქველმოქმედება, გარდა იმისა, რომ ეს მატერიალურ მხარესთან არის დაკავშირებული, მათში იწვევს მადლიერების გრძნობას, რაც ასე მნიშვნელოვანია ადამიანისთვის, უბრუნებს მათ სიკეთის რწმენას.

დიდი მადლობა მათ! ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი დიდგუნებოვანი ადამიანები!

„საქართველოს შრომის ვეტერანთა და
დაუსაქმებელ სპეციალისტთა საქველმოქმედო კავშირი“,
„საქართველოს ინვალიდთა ალიანსი“.

◎ ჯანმრთელობა

ნაყინი სტრესის წინააღმდეგ

მზე თანდათან ძალას იკრებს, მალე გაზაფხულს ზაფხული შეცვლის და ნაყინიც ყოველდღიური მოთხოვნილების პროდუქტი გახდება. თურმე ნუ იტყვით და ნაყინი საუკეთესო ანტისტრესული წამალი ყოფილა. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები, ამ ტკბილი და ცივი სასუსნავისადმი როგორც გავშვების, ისე მოზრდილების სიყვარულის მიზეზებს რომ სწავლობდნენ. ტრიპტოფანი ბუნებრივი ტრანკვილიზატორია, რძე და ნალები რომ შეიცავენ, ის აწყნარებს ნერვიულ სისტემას, აუმჯობესებს განწყობილებას და უძილობასაც ებრძვის. ხოლო შოკოლადი, რასაც ხშირად იყენებენ ნაყინის დამზადებისას, ამაღლებს სისხლის წნევას და გვევლინება მშვენიერ ბუნებრივ სტიმულატორად.

ბავშვებს ტკბილეული სჭირდებათ



უამრავი ექსპერიმენტი რომ ჩაატარეს, ამერიკელი მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ტკბილეულისადმი სიყვარული ბავშვებში ბუნებამ ჩადო და ეს დაკავშირებულია ბავშვთა ორგანიზმის მოთხოვნილებასთან მათი აქტუალური ზრდის დროს.

უდავოა, რომ ბავშვებს გაცილებით უფრო უყვართ ტკბილეული, ვიდრე მოზარდებს და რაც უფრო ასაკოვანია ადამიანი, ნაკლებად მიისწრაფვის ტკბილეულისკენ.

როგორც ექიმები აცხადებენ, როდესაც ადამიანს უნელდება ძვლების ზრდა, ის ნელ-ნელა კარგავს ინტერესს ტკბილეულისადმი და აღარაა მასზე დამოკიდებული.

ვიდეოთამაშები კანს ვნებს

ეს შვეიცარიელი სწავლულების დაკვირვებებით გამოირკვა. მათ აღმოაჩინეს, რომ ისინი, ვინც სისტემატურად გადაყოლილია ვიდეოთამაშებს, შეიძლება გაუჩნდეს კანის დაავადებანი.

იმ პაციენტ ქალს, ექიმებს კონსულტაციისთვის რომ მიმართა, ხელებზე გაუჩნდა წყლულები, რაც სპორტულ ვარჯიშებთან არ იყო დაკავშირებული.

ექიმებმა დაადგინეს, რომ დაავადების მიზეზი იყო ვიდეოთამაშები და ოფლიანობა. პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 10 დღის შემდეგ. ამ დროის მანძილზე მას აკრძალული ჰქონდა ვიდეოთამაშები.

მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ ასეთი დაავადების ალმოცენების რისკი იზრდება ვიდეოთამაშებზე დახარჯული დროის პროპორციულად და გვირჩევენ, უსიამოვნო სიმპტომების შემჩნევისთანავე მივმართოთ სპეციალისტს – დერმატოლოგს.

ზოგჯერ მზესაც ვერიდოთ



ყველამ ვიცით, თუ ზამთარში როგორ მოგვენატრება ხოლმე მზე, მზიანი დღეები. ამიტომაც გამოზაფხულდება თუ არა, მთელი ძალით ვეფიცხებით ხოლმე სინათლისა და სითბოს ამ მძლავრ წყაროს, ვცდილობთ, რაც შეიძლება, დიდხანს ვიყოთ მზეზე. ამერიკელი მეცნიერების დასკვნებით, ეს არც თუ ძალზე სასარგებლო ყოფილა და ეს, შეიძლება ძალზე ძნელი დაავადებების, მაგალითად, კანის კიბოს მიზეზიც კი გახდეს.

ექიმები იძლევიან რამდენიმე რეკომენდაციას, თუ როგორ გავხადოთ უვნებელი მზის პროცედურები.

ისინი კატეგორიულად გვირჩევენ, ვერიდოთ მზეზე ყოფნას მისი ყველაზე დიდი აქტიურობის დროს, ანუ 10 საათიდან 16 საათამდე.

აუცილებლად უნდა ვისარგებლოთ მზისგან დამცავი კრემებით, რაც ინდივიდუალურია კანის ყოველი ტიპისთვის, ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს სპეციალური ტანსაცმელი, ულტრაიისფერი სხივებისგან რომ დაგვიცავენ.

მთავარი დოზაა!



ჩვენს ბევრ მკითხველს აინტერესებს, მოქმედებს თუ არა შოკოლადი და კონიაკი სისხლის წნევაზე.

აი, რა პასუხი აქვთ ამაზე კარდიოლოგებს:

– შოკოლადი წნევაზე არავითარ გავლენას არ ახდენს, კონიაკი კი 70 გრამამდე დოზით წნევას დაგლა სწევს, რადგან ამ დროს იხსნება სპაზმები და სისხლ-ძარღვები ფართოვდება. ამასთან დაგლდება სისხლში ქოლესტერინის დონე და მასთან ერთად მცირდება ათეროსკლეროზის რისკიც. მაგრამ, ესაა მთავარი: ნუ შესცვამთ გაცილებით მეტ კონიაკს ან ნებისმიერ სხვა ალკოჰოლურ სასმელს, ეს ხელს შეუწყობს სიხლის წნევის აწევას!

უცხოური პრესის მიხედვით

წერილები
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 92-85-76.

◎ ანეკდოტები

– თუ სთხოვე მამაჩემს თანხმობა ჩვენს ქორწინებაზე?

– კი. ტელეფონით დავურეკე.

– მერე რა გითხრა?

– არ ვიცი, ვინ ხარ, მაგრამ თანახმა ვარო...

* * *

– გუშინ საშინელი საღამო მქონდა! ვახშამზე შამპანურით კარგად შევთვერი და როდესაც ანტონთან ერთად საძინებელში განვმარტოვდით, იმ ნაძირალამ ისარგებლა ჩემი უმწეო მდგომარეობით!

– ნუთუ გაგაუპატიურა?

– რას ამბობ! უარესი ქნა – გაიქცა!

* * *

მიდის ტიპი ტყეში. უცებ უკნიდან ხარირემი დაეტაკა და მიწაზე დაანარცხა.

ის იყო, წამოდგა, რომ უკნიდან ახლა დათვი ეგრდლვნა, წააძცია და უკანმოუხედავად გაქუსლა. გამწარებული ტიპი წამოხტა და ხედავს, რომ ახლა უკვე კურდღელი მოქრის მისკენ. ტიპმა გესლიანად გაილიმა, მოემზადა და... კვლავ მიწაზე დაენარცხა.

უცებ ციდან ხმა ესმის:

– ეი, შენ, იძინებ მოსცილდე კარუსელს...

◎ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ჟოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.